

**ზედოზირების შემთხვევების დროს დახმარების პრაქტიკის შესწავლა
კლუბურ და საფესტივალო გარემოში**

ნათია ამირანაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ადიქციის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად;

ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირმა კირთაძე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია ამირანაშვილი

25.06.2019

აბსტრაქტი

შესავალი: საქართველოში პერიოდულად ვრცელდება ინფორმაცია ღამის კლუბებსა თუ მუსიკალურ ფესტივალებზე ვიზიტორების ნარკოტიკული საშუალების ზედოზირებით გარდაცვალების შესახებ. ამ მხრივ ქვეყანაში განსაკუთრებით „საგანგაშო“ მდგომარეობა 2018 წლის გაზაფხულიდან შეიქმნა, რის შემდეგაც მედიის საშუალებით საზოგადოებას სხვადასხვა პერიოდულობით შესაძლო ზედოზირებებით გარდაცვალების შესახებ მიეწოდებოდა ცნობები.

შინაგან საქმეთა სამინისტრო არ აწარმოებს სტატისტიკას ნარკოტიკული საშუალებებით გარდაცვლილ პირთა რაოდენობისა და მიზეზების შესახებ. ოფიციალურად არცერთ სახელმწიფო უწყებას უთქვამს, კონკრეტულად რომელი ნარკოტიკული საშუალების მოხმარებამ გამოიწვია ადამიანთა სიკვდილი. არაოფიციალურად, მედიაში გავრცელებული ექსპერტიზის დასკვნებით, 2 გარდაცვლილის ორგანიზმში აღმოჩნდა ფენტანილი, სინთეზური ოპიოიდი, რომლით ზედოზირებით გარდაცვალების პრობლემა არის დღეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა მსოფლიოსთვის და განსაკუთრებით ჩრდილოეთ ამერიკისთვის (Spencer et al., 2019).

ქვეყანაში შექმნილი ვითარების ფონზე რეკომენდაციებსა თუ გამაფრთხილებელ სიგნალებს დარგის ექსპერტები და არასამთავრობო ორანიზაციები ავრცელებდნენ. ისინი დასკვნებს ზედოზირებული ადამიანების სიმპტომებიდან გამომდინარე აკეთებდნენ და შესაბამისად სთავაზობდნენ რეკომენდაციებს მოხმარებელთა თემს. ამავე პერიოდში აქტუალური გახდა ვებგვერდებიდან გამოწერილი ნარკოტიკული საშუალებების საკითხიც. მოხმარებელთა თემთან კომუნიკაციაში მყოფი სამოქალაქო აქტივისტების ცნობით, ზედოზირების შემთხვევები განპირობებული იყო იმით, რომ შეძენილ ნარკოტიკულ საშუალებებში შერეული იყო ისეთი ნივთიერებები, რაზეც მოხმარებელს ინფორმაცია არ ჰქონდა და აღნიშნული ფაქტორი ზრდიდა ზედოზირების რისკს.

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანია, შევისწავლოთ ზედოზირების შემთხვევაში დახმარების პრაქტიკა კლუბურ და საფესტივალო გარემოში, თუ როგორ იქცევიან

ნარკოტიკებით გამოწვეული ზედოზირების დროს კლუბების, ფესტივალების ადმინისტრაციის წარმომადგენლები და ის ადამიანები, ვინც უშუალოდ შეესწრო ზედოზირების შემთხვევას, კლუბების/ფესტივალების ვიზიტორების ჩათვლით;

კვლევის მეთოდი: კვლევისთვის შერჩეულ იქნა თვისებრივი მიდგომა, კერძოდ კი დაიგეგმა კლუბის/ფესტივალების ორგანიზატრებთან/მენეჯერებთან და ვიზიტორებთან ჩაღრმავებული ინტერვიუები. გამოიკითხა თბილისში არსებული 3 კლუბის პერსონალი (მენეჯერი, დაცვის წევრი), 2 მუსიკალური ფესტივალის ორგანიზატორი და ე.წ. „ქვიარ ივენთების“ მენეჯერი; ასევე პროექტ „მანდალა-ზიანის შემცირების“ წარმომადგენელი და კლუბის 8 ვიზიტორი. ჯამში 15 რესპონდენტი;

შედეგები: კვლევაში მონაწილე კლუბებსა და ფესტივალებს, ზედოზირების შემთხვევებზე რეაგირებისთვის გამოყოფილი ჰყავთ შესაბამისი პოზიციის ადამიანები. მათი ძირითადი მოვალეობაა, ცუდად მყოფი ადამიანის გამოვლენა და საჭიროების შემთხვევაში რეფერირება სასწრაფო დახმარებასთან; როგორც კლუბების პერსონალს, ასევე კლუბის ვიზიტორებს, ადამიანი, ცუდად გახდომის შემთხვევაში, პირველ ყოვლისა გამოჰყავთ გარეთ, ჰაერზე, სთავაზობენ წყალს, ლიმონს. ყურადღებას აქცევენ პირღებინებისას. კვლევაში მონაწილე კლუბის ვიზიტორების უმეტესობა თავს იკავებს სასწრაფო დახმარების გამოძახებისგან პოლიციის მოსვლის შიშის გამო და ცდილობს, საკუთარი ძალებით მაქსიმალურად ამოწუროს საკუთარი თავისა თუ მეგობრის დახმარების მცდელობა. ვიზიტორებში სასწრაფოს გამოძახება არის უკიდურესი ნაბიჯი, როდესაც ადამიანის დასახმარებლად სხვა შესაძლებლობას ვეღარ ხედავენ.

დასკვნები: საქართველოში არსებული საკლუბო თუ საფესტივალო გარემო ძირითადად ორიენტირებულია ცუდად მყოფი ადამიანის გამოვლენაზე და მისთვის სამედიცინო დახმარების გაწევის უზრუნველყოფაზე. რაც შეეხება ზრუნვისა და ზიანის შემცირების სერვისების არსებობას ქართულ ღამის ცხოვრების გარემოში, აღნიშნული ჯერჯერობით ჩანასახოვან მდგომარეობაშია და მის პირველ ნაბიჯებს უფრო საფესტივალო გარემოში ვხედავთ.

ქვეყანაში არსებული მკაცრი ნარკოპოლიტიკა აფერხებს მომხმარებლებს მიმართონ სამედიცინო დახმარებას შიშის ფაქტორის გარეშე, რაც ასევე აიძულებთ მათ, რომ მიმართონ თვითმკურნალობისა და თვითდახმარების არაკეთილსაიმედო გზებს. მომხმარებელთა თემში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში მწვავედ დგას უსფართო მოხმარებისა და ზედოზირების შემთხვევების დროს სწორი რეაგირების შესახებ ინფორმაციის მიწოდების საჭიროება.

Key Words: ღამის ცხოვრება, ზედოზირება, ღამის კლუბები, მუსიკალური ფესტივალები;

Abstract

Introduction: From time to time, there are reports on night club or music festival visitors dying due to drug overdoses. In this regard, the truly ‘alarming’ period started from spring 2018, when media periodically covered alleged drug overdose casualties.

The Ministry of Internal Affairs does not produce statistical data on causes or the quantity of overdose fatalities. None of the state agencies have officially declared which drugs have caused fatal consequences. Unofficially, based on the expert findings covered by media, Fentanyl, a synthetic opioid was found in the bodies of deceased. Death by this substance overdose is one of the biggest challenges in the world today and especially, in the North America (Spencer et al., 2019).

In this situation, drug experts and non-government organisations warn about threats and issue recommendations. They make conclusions based on the symptoms of overdose victims and provide recommendations to drug users. In this period, purchasing drugs online has also become common. Civil activists who communicated with drug users said that drug overdoses were often caused by the fact that consumers were not informed about substances being mixed in drugs they purchased, which raised the risks of overdoses.

The aim of research: The research aims to study the overdose aid practices in the clubs and festivals, specifically how club and festival representatives and random witnesses (including event visitors) react on overdose accidents.

Methodology: Qualitative research was chosen for this study, in particular in-depth interviews were conducted with club and festival organisers, managers and visitors. Personnel (a manager and a guard) from three clubs, organisers of two music festivals and 'queer Events' manager were inquired for this purpose, as well as eight club-goers and representatives of Mandala – Harm Reduction project. 15 respondents in total.

Findings: The clubs and the festivals participating in this research had allocated designated personnel to react on overdose accidents. Their main duty is to identify persons in need and refer them to Emergency Services if needed. The club personnel as well as visitors take a person out on the fresh air upon feeling bad and offer them water and lemon. They take care of them if they feel nauseous. The majority of club visitors participating in this study refrain from calling emergency services afraid that police officers will follow them. They do everything in their own capacity to help friends in need. Addressing to emergency services is the last resort for visitors and they do so only when they don't see other ways to help out.

Conclusions: Clubs and the music festivals in Georgia are mostly oriented on identifying those feeling ill and providing them with medical help. As for care and harm reduction services at nightlife events, currently they are at infant stage and we see first steps in this direction mostly at festivals.

The strict drug policy in the country hinders drug users from addressing Emergency Services without fear and urges them to turn to unreliable self-care methods. Drug users, especially youth are in a great need of information on how to safely use drugs and how to correctly react on overdose accident.

Key Words: Nightlife, Overdose, Nightclubs, Music festivals;

მადლობა

მადლობას ვუხდით თემის ხელმძღვანელს, ირმა კირთაძეს, კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისა და რეკომენდაციებისათვის.

მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს ადიქციის კვლევების ინსტიტუციური განვითარების გრანტის ფარგლებში ჩემი კვლევისთვის გამოყოფილი დაფინანსებისთვის;

მადლობას ვუხდით ნარკოპოლიტიკის სფეროში მოღვაწე აქტივისტებს, რომლებიც დამეხმარნენ კლუბებისა და ფესტივალების წარმომადგენლებთან კომუნიკაციის დამყარებაში;

უდიდეს მადლიერებას გამოვხატავ ყველა იმ რესპონდენტის მიმართ, ვინც გამონახა დრო და მიიღო კვლევაში მონაწილეობა. მათ მიერ მოწოდებული გულწრფელი პასუხების გარეშე კვლევის განხორციელება შეუძლებელი გახდებოდა. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით კვლევის იმ მონაწილეებს, რომლებიც სხვა რესპონდენტების მოზიდვაში დამეხმარნენ.